GALA GALLERY

GALA GALLERY

„გალა გალერეა'' წარმოგიდგენთ სამი ქართველი მხატვრის: უშანგი ხუმას, ოლეგ ტიმჩენკოსა და ვახო ბუღაძის გამოფენას. სამივე მხატვრის პროექტი განსხვავდება როგორც კონცეფციით, ისე მკვეთრად განსხვავებული ხელწერით. გამოფენაზე წარმოდგენილ 50 მასშტაბურ ტილოს თამამად შეიძლება ეწოდოს სამუზეუმო ექსპონატები. ამ ნიჭიერი და თვითმყოფადი მხატვრების სურვილი იყო საკუთარი პროექტების ერთდროულად წარდგენა. რადიკალურად განსხვავებული თემატიკის უკეთ წარმოსაჩენად დავიწყეთ ფიქრი საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის პირველი სართულის საუკეთესო საგამოფენო სივრცეში გამოფენის მოწყობაზე. საბედნიეროდ, ოცნების ახდენა სხვა ადამიანების დახმარებითაც შეიძლება.
თანადგომისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ მარინე მიზანდარს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს, ასევე კომპანია „კავკაზუს ონლაინს" და მის წარმომადგენელს, ბატონ თემურ არონიას ფინანსური მხარდაჭერისთვის. დაბოლოს, ამ ნიჭიერ მხატვრებს, რომელთა Victoria-საც ვიზიარებ.

დედიკა ბულია

Gala Gallery presents exhibition of three Georgian artists: Ushangi Khuma, Oleg Timchenko and Vakho Bughadze. It was desire of these talented and original artists to organize a joint show of their projects, which are based on different concepts and made in drastically diverse styles. Exhibition offers its viewers 50 large-scale works that can boldly called museum exhibits. In order to unite in one show radically different themes and present them in the best possible way we started thinking about using the best halls of the Dimitri Shevardnadze National Gallery. We were lucky that our dream came true thanks to support of friends.

We would like to express out gratitude towards the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia, Deputy Minister Mrs. Marine Mizandari, Director General of the National Museum Mr. David Lortkipanidze, representative of the company “Caucasus Online” Mr. Temur Aronia who provided financial support for the exhibition and last but not least talented artists whose Victoria I am sharing with you.

Dedika Bulia

გალა გალერეა გალა გამოფენა

GALA GALLERY GALA EXHIBITION

VICTORIA

VAKHO BUGADZE თბილისის იპოდრომი / Tbilisi Hippodrome
ვახო გუდაძე

OLEG TIMCHENKO ომი და მშვიდობა / War and Peace
ოლეგ ტიმჩენკო

USHANGI KHUMA ტორსები / Torsos
უშანგი ხუმა

გამოფენა EXHIBITION

18:00

11.04.2013 - 05.05.2013

მისამართი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის # 11 (ალექსანდრეს ბაღის მხრიდან)

Address: Georgian National Museum's Dimitri Shevardnadze National Gallery
11 Rustaveli Avenue (Side Entrance from the Alexander Garden)

,,გალა გალერეის'' VICTORIA...

...VICTORIA - ბევრი არც უფიქრიათ, ისე სპონტანურად და ქვეცნობიერად მოვიდა ეს სიტყვა და გამოფენის კონცეფციაც ჩამოყალიბდა. ეს სიტყვა ოლეგ ტიმჩენკოს ამავე სახელწოდების ნამუშევარმა უკარნახა, რომელიც აქვე, დარბაზშია გამოფენილი, ოღონდ მისი ,,VICTORIA'' სულ სხვა კონტექსტშია- ომის აბსურდულობაზეა და მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ. კარგად თუ დავფიქრდებით, ეს საგამოფენო სივრცეც, ანუ არქიტექტორ ზალცმანის მიერ მე-19 საუკუნეში აგებული სურათების ეროვნული გალერეის შენობაც, როგორც თავის დროზე სამხედრო დიდების მუზეუმი, შესაძლოა ჩვენთვის არასასიამოვნო კონტექსტში - კავკასიაში რუსეთის იმპერიის გამარჯვებას, ანუ VICTORIA -ს დავუკავშიროთ. ნამდვილი არტი და მისი კონტექსტი ხომ სწორედ ის არის, იმპულსურად სხვადასხვა და არასწორხაზოვან ასოციაციას რომ ბადებს ჩვენში. იფიქრეთ, რაზეც გინდათ - თუნდაც სეიშელის კუნძულების ,,ვიქტორიაზე'' ან დედოფალ ვიქტორიაზე - იმიტომ, რომ ეს გამოფენა თქვენს ფანტაზიას სრულ თავისუფლებას ანიჭებს. თუმცა ,,გალა გალერეის'' მიერ წარმოდგენილი გამოფენა ,,VICTORIA'' მხოლოდ და მხოლოდ სამი ცნობილი მხატვრის: ოლეგ ტიმჩენკოს, უშანგი ხუმასა და ვახო ბუღაძის გამარჯვებაა, რომლებმაც ყველაზე აკადემიურ საგამოფენო სივრცეში ყველაზე თანამედროვე ფერწერა წარმოადგინეს.
მხატვრებმა დიდი ხნით ადრე დაიწყეს ამ გამოფენისთვის მზადება. მაგალითად, ვახო ბუღაძის მიერ 6 ნამუშევრის შექმნის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი,რომ მაღალი კლასის გამოფენა მოეწყობოდა,"- ამბობს დედიკა ბულია. ის,როგორც ჭეშმარიტი გალერისტი,ბოლომდე ფეხდაფეხ მიჰყვება მუშაობის პროცესს და იმავდროულად ბოლომდე თავისუფლებას ანიჭებს მხატვრებს. გამოფენის მზადების პროცესი ვან გოგის არლის სახლს მოგაგონებდათ - საღებავებში ამოსვრილი ოლეგ ტიმჩენკო მოიჭრა და თავისი ნამუშევრის- ,,დუელის'' ბოლო შტრიხების სანახავად წაიყვანა გალერისტი. ჭირვეული უშანგი ხუმა ტორსების სერიას დამთავრებულად მიიჩნევდა,მაგრამ ვახო ბუღაძის ,,უფლიწულის დაბადების'' ნახვის შემდეგ, დედიკას თქმით, ,, გადაირია და ხატვა გააგრძელა..''.

- გამოფენის საბოლოო კონცეფცია რა არის? - ვეკითხები მას.

- დედიკა ბულია: ,,ეს სამი მხატვრის სამი დამოუკიდებელი გამოფენაა, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული კონტექსტითა და თემებით, რომელიც სპეციალურად ,,გალა გალერეისთვის'' შეიქმნა.

- უშანგ ხუმა ტორსების სერიას გვთავაზობს. ვახო ბუღაძის ნამუშევრებს საერთო სახელწოდება აქვთ -,,თბილისის იპოდრომი''. ვინც ამ მხატვარს კარგად იცნობს, ერთი შეხედვითვე მიხვდება, რომ ეს ვახოს ახალი ხელწერაა. ოლეგ ტიმჩემკოს ,,ომი და მშვიდობა'' კი ფაქტობრივად გაგრძელებაა მისი შარშანდელი მოსკოვური გამოფენისა, რომლის კურატორიც მე გახლდით და რომელმაც იქაურ არტ-წრეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია."
- და მაინც, რა აერთიანებს ამ გამოფენას?

დედიკა ბულია - ,,ერთად გამოფენის მოწყობა მათი დიდი ხნის ოცნება იყო. კარგად იციან, რომ გამორჩეული მხატვრები არიან და დიდ პატივს სცემენ ერთმანეთის შემოქმედებას. მათთვის ბევრს ნიშნავს გამოფენისთვის ერთად მზადების პროცესი და საბოლოოდ ნახატების ისეთ აკადემიურ სივრცეში გამოფენა, როგორიც სურათების ეროვნული გალერეაა. საბოლოოდ ერთ საგამოფენო სივრცეში და ერთი სათაურით წარმოდგენილი სრულიად განსხვავებული ხელწერა და ნამუშევრები ხომ გაცილებით საინტერესო კონტექსტში ერთიანდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ყველა იგრძნობს, რომ ეს სამი მეგობარი მხატვრის გამოფენაა, რომელთაც საინტერესო წარსული და მოგონებები აკავშირებთ. სხვათა შორის, აქვე წარმოდგენილია მათი უდაბნოში მოგზაურობის ამსახველი ფოტოსერიაც."

- რამ განაპირობა სურათების ეროვნულ გალერეაში ამ გამოფენის მოწყობა?

- ,,გალა გალერეა'' მცირე პაუზის შემდეგ ახალ ფორმატით აგრძელებს მუშაობას. ამ მასშტაბური გამოფენისთვის კულტურის სამინისტროს, კონკრეტულად კი ქალბატონი მარინე მიზანდარის დახმარებით საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სურათების ეროვნული გალერეის საგამოფენო დარბაზები დაგვითმო, რაც ჩვენთვის დიდი პატივია.

- გამოფენის ორგანიზებაში ფინანსური მხარდაჭერა კომპანია Caucasus Online-მა გაგვიწია და თავადვე შემოგვთავაზა მომავალში სამივე მხატვრის კატალოგის გამოცემა, რაც ვფიქრობ, საქართველოში ბიზნესისა და ხელოვნების თანამშრომლობის საუკეთესო პრეცედენტია."

- რას იგულისხმება ,,გალა გალერეის'' ახალი ფორმატით მუშაობაში?
- დედიკა ბულია: ,,რა თქმა უნდა, ინოვაციური პროექტები; საბოლოო ჯამში კი შედეგი- როცა მომავალში მხატვრები ამაყად იტყვიან - ,, ჩემი ნახატები ,,გალა გალერეაში''გამოიფინა...''

VICTORIA AT "GALA GALLERY"...

...VICTORIA – there was no need for a lot of reflection. The word came to mind in a spontaneous and unconscious way and immediately led to creation of an exhibition concept. It was prompted by Oleg Timchenko's work with the same title, which will also be exhibited during the show. Only, his VICTORIA comes from an absolutely different context and tells us a story about absurdity of war. The exhibition space which houses the National Gallery and was built by architect Salzmann in the 19th century as a museum of military glory, can also be understood as a part of unpleasant context - victory of the Russian Empire in the Caucasus – VICTORIA. Aren't real art and its context responsible for triggering different impulsive and nonlinear associations? Think about whatever you want: "Victoria" from the Seychelles or the Queen Victoria. Exhibition leaves a door open for all your phantasies. Though Gala Gallery's exhibition VICTORIA presents victory of only three famous artists: Oleg Timchenko, Ushangi Khuma and Vakho Bughadze, who decided to put on display the most contemporary paintings in the most academic exhibition space.

- "Guys started to work on the exhibition long ago. For example, it took Vakho Bughadze almost a month to prepare subframes and background for the canvases. After six works were completed I once and for all understood that would produce a high-class exhibition," - says Dedika Bulia. She, as a true gallery owner is in full control of the process and at the same time supports the artists with absolute freedom. Preparation process would remind you Van Gogh's house in Arles: Oleg Timchenko, all covered in paint rushed to the gallery owner and took her away to show her the last details of his work "Duel"; capricious Ushangi Khuma, who believed he had an artist's block, after having seen Vakho Bughadze's "Rider", according to Dedika, "drove crazy and continued painting..."

- I am asking her: What is the final concept of the exhibition?

- Dedika Bulia: "This is an independent exhibition of three artists who present contexts, which absolutely differ from each other. Contexts as well as themes were created especially for the Gala Gallery.

- Ushangi Khuma offers the visitors a series of torsos. Vakho Bughadze united his works under one title "Tbilisi Hippodrome". Those, who know him well, will immediately notice that these works are made in a new style. Oleg Timchenko's "War and Peace" practically continues his Moscow exhibition from the last year (curated by me), which enjoyed a very emotional reception in Russian art circles."

- What is the main issue that unites this exhibition?

- Dedika Bulia: "It was their long-term dream to make a joint exhibition. These artists know each other's capacities quite well and have great respect for the work. The process of collective preparation for the exhibition and display of their works in the same space next to each other means a lot to them. Especially, if this concerns academic space of the National Gallery. Group show of absolutely different works in the same exhibition space and under one title contributes to creation of a very interesting context. I am sure, everybody will understand that this is an exhibition of three friends, who share interesting past and memories. By the way, in the same space one can also enjoy the photos of their trip to the desert."

- What brings Gala Gallery to the National Gallery?

- After a short break Gala Gallery resumes its functioning in a new format. Georgian National Museum offered us exhibition halls of the National Gallery thanks to support of the Ministry of Culture and specifically Mrs. Marine Mizandari. This is a great honor for us.

- Financial support of the exhibition was provided by the company Caucasus Online, which offered us to publish catalogues of all three artists. I believe this is the best precedent of cooperation between arts and business in Georgia."

- What do you understand under a new format of the Gala Gallery?

- Dedika Bulia: "Innovative projects, of course. And final result when in the future artists will say proudly:
"... My works were displayed at the Gala Gallery"...

VAKHO BUGADZE

ვახო ბუღაძე

ყველაფერი, რაც ავტობიოგრაფიულია,როგორც წესი, გულწრფელია. მასშტაბურ ტილოებზე გადმოტანილი ცხოვრების გარკვეული ეტაპის მოგონებათა ფრაგმენტები - ეს უკვე სერიოზული ფერწერაა და ის მხატვრისგან და მისი მოგონებებისგან დამოუკიდებლად ძლიერად მოქმედებს დამთვალიერებელზე.
გამოფენის თემისთვის ვახო ბუღაძემ 90-იანი წლების დასაწყისის ორი წელი აირჩია. ეს მისი და მისი მეგობრების „იპოდრომის წლები'' იყო: „1990 წლის გაზაფხულზე მე და ჩემმა მეგობრებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან ცხენები ჩამოვიყვანეთ. მაშინ იპოდრომზე სიცოცხლე ჩქეფდა. უცებ ოთხის ნაცვლად ბევრნი - 30-40 გავხდით. მთელი მოძრაობა დაიწყო - ჩვენი წრის მთელმა თაობამ უცებ აიტაცა ჩვენი გატაცება. ერთ თავლაში ორი წელი ვცხოვრობდი. ამ პერიოდის უამრავი ადამიანი, ნიუანსი, ისტორია თუ დეტალი დაილექა ჩემს მეხსიერებაში და ამდენი წლის შემდეგ ეს სერიაც შეიქმნა. მას „თბილისის იპოდრომი" ჰქვია, - ამბობს მხატვარი
„უფლისწულის დაბადება'', „მეჯინიბის საყვარელი'', „მათე გენერალა'', „კვირა დღე'' - 17 მასშტაბური ტილო სპეციალურად VICTORIA-სთვისაა შექმნილი. ის, ვინც ვახო ბუღაძეს აქამდე იცნობდა, გამოფენაზე მისი ახალი ხელწერით გაოცდება, დინამიზმითა და ექსპრესიით გაჯერებული ტილოების წინაშე ალბათ დიდხანს შეყოვნდება.
შესაძლოა სულაც არ იცოდე, მაგალითად, „გალუბკას'' (იპოდრომის ყველაზე მაგარი ცხენის) ტრაგიკული ისტორია, მაგრამ ყალყზე შემდგარი ცხენის გამოსახულება უცნაურ გისოსებიან ფონზე საოცრად დინამიკურია და ვიზუალურად დამთვალიერებელზე ძლიერ გავლენას ახდენს. ალბათ არავინ იცის, რომ ეს გულისმომკვლელი, მოულოდნელი ფონი ცისფერი კოპლებით და ცხენის გამოსახულება იმ არეულ პერიოდში დაღუპულ მხედრებს (მათ შორის, მხედრიონელებს) მიუძღვნა მხატვარმა. ამ ბექგრაუნდის გარეშეც კი ეს ნამუშევარი, დამოუკიდებლად, როგორც თანამედროვე ფერწერა, ალბათ, უამრავი დამთვალიერებლის ყურადღებას მიიპყრობს..
საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ვახო ბუღაძის „თბილისის იპოდრომი'' VICTORIA-ს შთამბეჭდავი ნაწილია, რომელიც გამოფენაზე დამთვალიერებელს არაერთხელ დააბრუნებს.

Everything autobiographical is as a rule sincere. Memories of certain stages of one's life, which are shown on large scale canvases present serious paintings and impress the visitors independently from their background knowledge about the artist and his memories. Vakho Bughadze selected two years from the early 90s as a topic of the exhibition. For him and his friends these were so called "hippodrome years":
- "In spring of 1990 I and my friends brought to Tbilisi couple of horses from the Northern Caucasus. At that time hippodrome was a very lively place. Suddenly four of us were joined by 30-40 persons and it became a whole movement: many people from our generation got inspired by our hobby. We hired one stable. I lived there for two years. My memories keep a lot of details, histories, images of people from that time. I decided to create the series after so many years and called it "Tbilisi Hippodrome," – says the artist.
"Birth of the Prince", "Stable-man's Lover", "Mate the General", "Sunday" – in total 17 large scale paintings were created specially for VICTORIA. Those who know Vakho Bughadze's works since long will be surprised at a new style of his painting and take some time to observe the works which are full of dynamism and expression.
One may not know tragic story of "Golubka" – one of the coolest horses of the hippodrome, but image of pranced horse with strange lattice in background is still very dynamic and visually impressive for the viewers. Despite the fact that no one knows that extremely sad, dotted blue background and horse image are dedicated to the riders who died during the unstable 90s, the "Rider" will capture interest of many visitors as an example of contemporary art.
Vakho Bughadze's "Tbilisi Hippodrome" is an impressive part of VICTORIA, which will make visitors want to come back to the exhibition over and over again.

ეძღვნება მხედრიონს და ყველა სამუდამო მხედარს, შერეული ტექნიკა, ტილო. 200 X 140

To “Mkhedrioni” and all eternal riders, Mixed Technique, Canvas. 200 X 140



“გალუბკა”, შერეული ტექნიკა, ტილო. 230 X 130
“Golubka”, Mixed Technique, Canvas. 230 X 130

ნატურმორტი, შერეული ტექნიკა, ტილო. 150 X 200
Still Life, **Mixed Technique, Canvas.** 150 X 200

უფლისწულის დაბადება, შერეული ტექნიკა, ტილო. 200 X 140
Birth of the Prince, Mixed Technique, Canvas. 200 X 140

მეჯინიბის ოთახი, შერეული ტექნიკა, ტილო. 200 X 200
Stable-man's Room, Mixed Technique, Canvas. 200 X 200

მათე გენერალა, შერეული ტექნიკა, ტილო. 150 X 140
Mate the General, Mixed Technique, Canvas. 150 X 140

თბილისის იპოდრომი, შერეული ტექნიკა, ტილო. 200 X 220 – გვ. 15
Tbilisi Hippodrome, Mixed Technique, Canvas. 200 X 220 - Page 15

OLEG TIMCHENKO

ოლეგ ტიმჩენკო

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რომელი მხატვრის ნახატებთან ერთად გამოიფინება შენი ნახატები და - რომელ სივრცეში. ორივე შემთხვევაში გამიმართლა: ჩემი ნახატები თბილისის ყველაზე აკადემიურ სივრცეში გამოიფინება, თანაც, მაგარ მხატვრებთან ერთად და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

-ვიცი, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ თემებზე ვხატავთ და სწორედ ეს არის საინტერესო. სრულიად თავისუფალი ვარ ყოველგვარი იდეოლოგიისგან როგორც არტისტი და ამიტომაც დავხატე ის, რაც ჩემს სულში ზის. როგორც ძველი რუსული გვარის, გულიცკების შთამომავალს, ყოველთვის მიტაცებს XVIII-XIXსს-ის პეტერბურგული კულტურა, იმიჯი და შევქმენი დიდი სერია „ომი და მშვიდობა'', - აცხადებს მხატვარი.

„ომი და მშვიდობა''კონცეპტუალური ფერწერის სერიაა, რომელიც ერთი წლის წინ მოსკოვში გამოიფინა, როგორც ერთგვარი მესიჯი საქართველოდან (კურატორები: დედიკა ბულია და ალექსანდრ ფომინი). რაც მთავარია, გამოიფინა ყველაზე დისიდენტურ სივრცეში -„პოლიტექნიკურ მუზეუმში'';სივრცეში, რომელიც თავის დროზე ვლადიმერ ვისოცკის, ევგენი ევტუშენკოს, ბელა ახმადულინას, ბულატ ოკუჯავას, „ბულდოზერისტებისა'' და, საერთოდ, საბჭოთა სახელოვნებო-დისიდენტური მოძრაობის თავშეყრის ადგილი იყო. ამ გამოფენამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მოსკოვის არტ-წრეებში. მის სანახავად მივიდა ყველა, ვინც თანამედროვე რუსულ არტ-სცენაზე დღეს ამინდს ქმნის - ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ლეონიდ ბაჟენოვი, მხატვრები: ვლადიმერ დუბასარსკი, ანდრეი ფილიპოვი, კონსტანტინე ზვიოზდოჩოტოვი, ცნობილი კონცეპტუალისტი ნიკიტა ალექსეევი. სწორედ ამ გამოფენის ნაწილია წარმოდგენილი სურათების ეროვნულ გალერეაში, ნაწილი კი სპეციალურად შეიქმნა VICTORIA-სთვის.

-„1812 წლის ომი და ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში მხოლოდ ფერით და ექსპრესიით არ მინდოდა გადმომეცა, არ მინდოდა, რომ ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული ომის ილუსტრაცია ყოფილიყო. მინდოდა საზოგადოებისათვის შემეხსენებინა, რომ ერთ დროს რუსეთიც ოკუპირებული იყო და რომ ომი გლობალური თემაა; როცა მას შეეხები, აუცილებლად მშვიდობაზეც ფიქრობ," - ამბობს მხატვარი.

კონკრეტული ნამუშევარი, რომელსაც VICTORIA ჰქვია, ბრძოლის ველზე დაცემული ჰუსარის გამოსახულებაა და ომის აბსურდულობაზე მიგვანიშნებს. მის ერთ-ერთ ვერსიაში მხატვარი სკრუპულოზურად დახატული არარსებული ჯარის დაღუპული ჯარისკაცის სამოსის დეტალებით (რომაელი ჯარისკაცის ჩაფხუტი, ჰუსარის უნიფორმა, ჯინსი და შვეიცარიული ბათინკები) ომის აბსურდულობას განაზოგადებს დროსა და სივრცეში. ასეთივე დრამატული ნამუშევარია „ჯარისკაცები და კურტიზანები''-ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს არ ეკუთვნიან და რისკი ყოველდღიურობაა მათ ცხოვრებაში. ან კიდევ „დილა ფილიში", რომელიც ერთი შეხედვით ზამთრის წყნარი ფერწერული პეიზაჟია.

„ისტორიულად მოსკოვი ფრანგებმა შემოდგომაზე გადაწვეს, როცა ის რუსებმა დათმეს. მე ეს ისტორია შევცვალე, ჩემს პეიზაჟში ზამთარია, წყნარად თოვს და არავინ იცის, რომ ბრძოლის ბედი მაღალ ეშელონებში გადაწყვეტილია. ყველა ეპოქაში ომის კანონი ხომ ერთი და იგივეა - ადამიანების ბედით მანიპულირება..." - ამბობს მხატვარი.

რეალიზმი და კონცეპტუალიზმი ოლეგ ტიმჩენკომ თავის მასშტაბურ ფერწერულ ტილოებში ერთმანეთში ოსტატურად აურია და „ომისა და მშვიდობის'' მარადიული თემა XIX საუკუნის მანევრული ჟესტიკულაციით XXI-ე საუკუნეში გამადიდებელი ლუპით თვალთან ახლოს მოგვიტანა.

მჭმუნვარე ანგელოზი, ტილო, აკრილი. 250 X 220 / Sad Angel, Canvas Acrylic. 250 X 220

- It is very important to know, whose works will be displayed next to yours and in what kind of space. I was lucky on both occasions: I show my works in the most academic space of Tbilisi and they will be presented next to the paintings of cool artists. I feel very well.
- I know, that themes of our works significantly differ from each other. I believe, this is the most interesting thing about that exhibition. I as an artist am absolutely free from any ideology. That gave me an opportunity to paint what is inside my soul. As a descendant of an old Russian family - Gulitskyi - I have always been fascinated by and interested in cultural life and image of St. Petersburg of the 18-19th centuries. Therefore I created series "War and Peace".
- "War and Peace" is series of conceptual paintings, which was displayed in Moscow a year ago as a certain message from Georgia (curator Dedika Bulia). It was shown in the most dissident space - "Polytechnic Museum". This place used to be a meeting point for Vladimir Vysotsky, Yevgeny Yevtushenko, Bella Akhmadulina, Bulat Okudzhava, "Bulldozer Group", other soviet artists and dissidents. Art scene of Moscow perceived the exhibition in a very emotional way. It was attended by all important persons who are active in the contemporary art scene of Russia: famous art critic Leonid Bazhenov, Vladimir Dubossarsky, Andrei Filippov, established conceptualist Nikita Alekseev. Exhibition at the National Gallery will show the works from the Moscow exhibition and those created especially for VICTORIA.
- I did not want to show Napoleon's 1812 campaign to Russia through color and expression only. I did not want to present it as an illustration of a single specific war. I wanted to remind the society that there were times when Russia was occupied too. Wanted to tell them, that war is a global topic and when one touches upon it he reflects about peace as well.
- Specific work, which is called VICTORIA, shows a fallen hussar and absurdity of war. In one of the versions of the painting artist tries to generalize absurdity of war in time and space and show it through scrupulous details surrounding the fallen soldier of a nonexistent army (helmet of a Roman soldier, uniform of a hussar, jeans trousers and Swiss boots). Another dramatic work - triptych "Soldiers and Courtesans" presents people, who are not in control of their lives and whose everyday existence is at permanent risk. Or let's take "Morning in Fillets", which at first glance seems to contain a peaceful winter landscape.
- Historically Moscow was burned down by the French in fall, when Russians gave it up. I have modified history. My landscape presents winter. It shows quiet snowing. No one knows that the fate of the battle is already predetermined by the higher leadership. Rule of war, to manipulate the fate of people, remains the same at all times.

Oleg Timchenko's large scale paintings display a masterful combination of realism and conceptualism and help us to see the topic of "War and Peace" though maneuvering gestures of the 19th century and with help of a magnifying glass.



დუელი, ტილო, აკრილი. 160 X 140 / **Duel, Canvas Acrylic. 160 X 140**

ბოროდინო, ტილო, აკრილი. 220 X 250 / **Borodino, Canvas Acrylic. 220 X 250**

ნაპოლეონი რუსეთში, ტილო, აკრილი. 170 X 130 / **Napoleon in Russia, Canvas Acrylic. 170 X 130**

უფალო, შემიწყალე! ტილო, აკრილი. 150 X 150 / **God, Save Me! Canvas Acrylic. 150 X 150**

Наполеон в России

1812

იერიში, ტილო, აკრილი. 315 X 250
Attack, Canvas Acrylic. 315 X 250

ღიღილოები მინდორში, ტილო, აკრილი. 200 X 150
Cornflowers in the Field, Canvas Acrylic. 200 X 150

არყის ხეები, ტილო, აკრილი. 220 X 200
Birch Trees, Canvas Acrylic. 220 X 200



ტყის საიდუმლო, ტილო, აკრილი. 220 X 200
Secret of a Forest, Canvas Acrylic. 220 X 200



USHANG KHUMA

უშანგი ხუმა

უშანგი ხუმ უკომპრომისო მხატვარია, რომელიც არ ემორჩილება კურატორების, დამკვეთებისა თუ გალერისტების და საერთოდ, ოფიციალურ-ინსტიტუციურ მოთხოვნებს.
ეს არ არის თანამედროვე არტისტის პოპულისტური პოზა; ეს უფრო მისი სულიერი მდგომარეობაა -იყოს მაქსიმალურად თავისუფალი ხატვის პროცესში.
- ,,ის ძნელად სამართავი მხატვარია. ტორსების სერიაზე მუშაობა ბევრჯერ შეწყვიტა და შემდეგ კვლავ გააგრძელა. მას მართლაც განსხვავებული ხედვა და ფერის საოცარი შეგრძნება აქვს. არასოდეს ღალატობს თავის პრინციპებს,'' - ამბობს მის შესახებ დედიკა ბულია.
-,,როცა ნამუშევარი წინასწარ გათვლილია გაყიდვასა და სივრცეზე, როცა წინასწარ მიკვეთენ ფერებსა და პარამეტრებს, შებოჭილი ვარ და დეპრესიულიც ვხდები'' - ამბობს ის.
სწორედ ამის გამო მხატვრები მას დიდ პატივს სცემენ და მის ნახატებსაც ხშირად ყიდულობენ. ცნობილია მხატვარ ზურა გიკაშვილის აქცია, როცა მხატვრებმა 11-მეტრიანტილოზე მხატვრისსახელი - უშანგი დაწერეს და ფილარმონიის ფასადზე გადმოფინეს; ,,ნიუ არტ-კაფეში" კი ვახო ბუღაძემ უშანგი ხუმას პორტრეტების სერია (25 პორტრეტი) გამოფინა. დღეს ეს სერია დედიკა ბულიას კოლექციაში ინახება.
მთლიანობაში თუ შევხედავთ გამოფენას, შეიძლება ითქვას, რომ უშანგი ხუმას ტორსების სერია რაღაც ძლიერი მიზიდულობის ძალით ერთად კრავს სამივე მხატვრის განსხვავებულ თემას.
– ,,სხვადასხვა სტილი, სხვადასხვა ფერი, განსხვავებული სკოლა ერთად საინტერესო სინთეზსს უნდა ქმნიდეს. ჩემთვის კომფორტულია გამოფენის მათთან ერთად მოწყობა. დიდი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ ერთად პირველად ვაწყობთ გამოფენას. მაგათზე კარგი მხატვრები, ასეთ დიდ ტილოებზე რომ მუშაობდნენ, ვახოსა და ოლეგის გარდა ცოტა მეგულება საქართველოში და ჩემთვის ბედნიერებაა მათთან ერთად გამოფენაში მონაწილეობა," - ამბობს ის.

Ushangi Khuma is uncompromising artist, who is known for ignoring demands of curators, commissioners, gallery owners and official institutional agencies. This is not a populist image of a contemporary artist but his inner condition to remain during the working process as free as possible.
"He is hard to manage. He stopped and resumed working on series of torsos multiple times. Khuma has a different vision and incredible feeling for colors. He never abandons his principles," – says Dedika Bulia.
"When the work from the very beginning is destined for sale and made for a certain space, when I get commissioned for specific colors and parameters, I feel constraint and get depressed," – says the artist.
That's the reason why he is respected and his works are sold quite frequently. Artist Zura Gikashvili organized an action, during which the artists wrote his name "Ushangi" on a 11 meter long canvas and displayed it on the front of philharmonic hall. The same day Vakho Bughadze exhibited series of Ushangi Khuma's portraits at the "New Art Cafe" (25 portraits from the exhibition are now kept in Dedika Bulia's collection).
In context of the exhibition, it can be said that Ushangi Khuma's series of torsos unites diverse themes of all three artists through strong power of gravity.

- "Different styles, different colors and schools should create an interesting synthesis. For me, it is comfortable to be presented next to Oleg Timchenko and Vakho Bughadze. We are old friends. However we show our works together for the first time. I don't know any other artists in Georgia who work on such large scale works and are that good (except for a couple of exceptions). I am happy to display my works along with them." – says the artist.

ტორსი, ტილო, ზეთი. 100 X 80
Torso, Oil, Canvas. 100 X 80



ტორსი, ტილო, ზეთი. 100 X 80
Torso, Oil, Canvas. 100 X 80

ტორსები, ტილო, ზეთი. 100 X 80
Torsos, Oil, Canvas. 100 X 80



ტორსები, ტილო, ზეთი. 100 X 80
Torsos, Oil, Canvas. 100 X 80

ტორსი, ტილო, ზეთი. 100 X 80
Torso, Oil, Canvas. 100 X 80

პროექტის ავტორი და კურატორი დედიკა ბულია.

კოორდინატორები: ეკა კიკნაძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამედროვე ქანდაკების ფონდის უფროსი კურატორი), თამარ ლორთქიფანიძე სახვითი ხელოვნების დარგში, ხატია მამაცაშვილი, თაკო ვალიშვილი

ტექსტის ავტორი: არტ-ჟურნალისტი თეონა ჯაფარიძე

თარგმანი: თამარა ჟანაშია

დიზაინი: გიორგი დადიანი

ფოტოგრაფი: გია ჩხატარაშვილი, გურამ წიბახაშვილი, ვოლფრამ ჰერფრუტი

უშანგი ხუმასადმი მიძღვნილი ზურა გიკაშვილის აქციის ფოტოების ავტორი: გურამ წიბახაშვილი.

რედაქტორი: დედიკა ბულია

Author of the project and curator Dedika Bulia

Coordinators: Eka Kiknadze (Chief Curator of the Fund of Modern Sculpture, Georgian National Museum), Tamar Lordkipanidze, Fine Arts, Khatia Mamatsashvili, Tako Valiashvili

Text: Teona Japharidze

Translation: Tamara Janashia

Design: Giorgi Dadiani

Photographers: Gia Chkharatashvili, Guram Tsibakhashvili, Wolfrahm Herfrut

Zura Gikashvili's action dedicated to Ushangi Khuma Photos: Guram Tsibakhashvili

Editor: Dedika Bulia

buliadedika@gmail.com

all rights reserved 2013 Gala Gallery